საოჯახო სამზარეულოების ბაზრის კვლევა და მომხმარებლის დამოკიდებულება მზა პროდუქტების მიმართ მარკეტინგული კვლევა

ავტორი: გიორგი ნადარაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

ხელმძღვანელი: გურამ შეროზია

მიმოხილვა

საქართველოში სულ უფრო მეტი მომხმარებელი სახლში საჭმლის დამზადებას მისი მზა სახით ყიდვას არჩევს. დღითიდღე იზრდება საოჯახო სამზარეულოების პოპულარობა, თუმცა, ამ ფაქტის მიუხედავად, ეს ბაზარი არასაკმარისადაა შესწავლილი.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საოჯახო სამზარეულოების მიმართ თბილისის მაცხოვრებლების დამოკიდებულების შესწავლა და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მზა კერძების მოხმარების თავისებურებებსა და სიხშირეს განსაზღვრავენ, ამავდროულად, საოჯახო სამზარეულოების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებასა და ცვლილებაში მონაწილეობენ.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფის სახით, რამაც შესაძლებელი გახადა მზა კერძების მოხმარებაზე საინტერესო სამომხმარებლო ინსაიტების მიღება. მეორე ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა ონლაინ-გამოკითხვისა და პირისპირ ინტერვიუს საშუალებით, რომლის ფარგლებში გამოკითხული 326 რესპოდენტის მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მოხდა ჰიპოთეზების ტესტირება.

კვლევის შედეგად შედგა საოჯახო სამზარეულოების ტიპური მომხმარებლების პროფილი, გამოვლინდა მათი ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები და გაკეთდა საინტერესო დასკვნები, როგორიცაა, მაგალითად:

1. საოჯახო სამზარეულოების მომხმარებლების 90% დროში შეზღუდული ადამიანები არიან;
2. მომხმარებლების 75% სისტემატურად (და არა მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში) სარგებლობს საოჯახო სამზარეულოების მომსახურებით;
3. დასაქმებული მარტოხელა ქალების 80% და ახლად შექმნილი ოჯახების 70% (რომლებიც მაორიენტირებელ ოჯახს გამოეყვნენ და დამოუკიდებლად ცხოვრობენ) მზა საკვების მოთხოვნილებას საოჯახო სამზარეულოებით იკმაყოფილებენ;
4. არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მომხმარებელთა შემოსავლებსა და მათ მიერ საოჯახო სამზარეულოს მოხმარების სიხშირეს შორის;

კვლევის შედეგების, მზა საჭმელების ქართული და საზღვარგარეთის

ინდუსტრიებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გაცნობის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები მზა კერძების ქართველი მწარმოებლებისათვის.

სარჩევი

შესავალი ---------- 4
თავი I ---------- 10
1.1 მზა საკვებზე მოთხოვნის განვითარების ისტორია და განვითარების პერსპექტივები ---------- 10
1.2 საოჯახო სამზარეულოები საქართველოში ----------16
1.3 მზა საკვების წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები და საკანონმდებლო ბაზა ---------- 18
1.4 ჯანსაღი კვების გლობალური ტენდენცია ---------- 19

თავი II ---------- 31
2.1 საოჯახო სამზარეულოების ქართული ბაზრის მიმოხილვა ---------- 31
2.2 საოჯახო სამზარეულოების საფასო პოლიტიკა და მათი გაყიდვების მასტიმულირებელი აქტივობები საქართველოში ---------- 33
თავი III ---------- 35
3.1 კვლევის მეთოდოლოგია ---------- 35
3.2 კვლევის შედეგები ---------- 39
3.3 დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 60
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 64
დანართი ---------- 66